EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

მარტი 2011 №3 (25)

The New York Times

ჩრდილოეთ აფრიკა: რა იქნება შემდეგ?

კეტრინ ეშტონი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.

ისტორიაში მრავლად არის მოგებული ომის მაგალითები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ხანგრძლივი მშვიდობა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის მძიმე შეცდომებმა გაუკვალეს გზა მეორე მსოფლიო ომს. 1945 წლის შემდეგ ჩვენ წარმატებულად ვმოქმედებდით, რადგან გვესმოდა, რომ საჭირო იყო რაღაც უფრო მეტის გაკეთება, ვიდრე ჰიტლერის დამარცხება. ჩვენ ომისგან იავარქმნილი კონტინენტი უნდა აღგვედგინა.

ლიბიაში „წარმატება“ ნიშნავს არა მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას უახლოეს პერიოდში და არც იმდენად მუამარ ელ-კადაფის რეჟიმის საბოლოოდ დამარცხებას. წარმატებისთვის საჭიროა ჩვენი მომავალი მოქმედების სტრატეგიის შემუშავება. განზრახული მაქვს დისკუსიაში ყურადღება იმაზე გავამახვილო, თუ როგორ ვაპირებთ ამ რთულ ამოცანასთან გამკლავებას.

ჩვენ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დემოკრატიას მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ — ხანგრძლივ დემოკრატიას, რომელიც არ გაქრება. აუცილებელია კანონის უზენაესობის დამყარება მიუკერძოებელი სამართალდამცავი ძალებისა და დამოუკიდებელი მოსამართლეების ხელმძღვანელობით. აუცილებელია საკუთრების უფლების, სიტყვის თავისუფლებისა და პროფკავშირთა თავისუფლების უზრუნველყოფა. უპირველესად საჭიროა, ეკონომიკური კეთილდღეობის დაჩქარება, რათა მთელმა საზოგადოებამ იგრძნოს, რომ დემოკრატიულ რეფორმები მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

დასავლური ლიბერალური იდეები ლიტონი სიტყვა როდია. ამ ბოლო კვირების განმავლობაში ცხადად დავინახე, რომ ტუნისსა და ქაიროში რეფორმების მომხრეები სწორედ ამ იდეებმა შთააგონა, ჩემი თანამშრომლები კი ბენგაზის და ტრიპოლის ქუჩებში ამ იდეების განხორციელებისაკენ სწრაფვის მოწმენი გახდნენ.

შევჩერდები იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია ევროკავშირს და როგორ ვაპირებთ ამის მიღწევას დანარჩენ დასავლურ სამყაროსთან (და რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არაბული სახელმწიფოების ლიგასთან) თანამშრომლობის გზით. ზოგიერთები ახალი მარშალის გეგმის განხორციელებისკენ მოგვიწოდებენ. ცხადია, ეს კეთილი განზრახვაა, მაგრამ XXI საუკუნის ჩრდილოეთ აფრიკა გასული საუკუნის 40-იანი წლების ევროპა როდია. ჩვენ წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად ახალი მიზანმიმართული სტრატეგიაა საჭირო. სწორედ ამაზე ვმუშაობთ ევროკავშირში. უპირველესად უნდა მოგვარდეს სამი M: money, market access & mobility (ფული, ბაზრებზე ხელმისაწვდომობა და მობილურობა).

რაც შეეხება ფულს. მინდა, რომ ევროპამ ლიბიის, ეგვიპტისა და ტუნისის განვითარებაზე მილიარდობით ევრო დახარჯოს — ნაწილობრივ თავად ევროკავშირის ფონდებიდან. ვიმედოვნებ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ამ ქვეყნების პარლამენტარები მხარში ამოგვიდგებიან იმ რესურსების ძიების პროცესში, რომლებიც მხოლოდ ევროპის საინვესტიციო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შესაძლოა არ აღმოაჩნდეს....

უფრო ვრცლად წერილს ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.nytimes.com/2011/03/19/opinion/19iht-edashton19.html?_r=1

ქართული ვერსია : http://foreignpress.ge/?p=16764

ევროკალენდარი

4–7 აპრილი
ევროპარლამენტის პლენარული სესია და კომიტეტების შეხვედრა.
(სტრასბურგი, საფრანგეთი)

11–12 აპრილი
იუსტიციის და შინაგან საქმეთა საბჭოს შეხვედრა.
(ლუქსემბურგი, ლუქსემბურგი)

13 აპრილი
ევროკომისიის ყოველკვირეული შეხვედრა.
(ბერლიმონტი/ბრიუსელი, ბელგია)

13–15 აპრილი
ენერგოეფექტურობის საერთაშორისო კონგრესი.
(სოფია, ბულგარეთი)

18 აპრილი
საგარეო საქმეთა საბჭოს ყოველთვიური შეხვედრა.
(ლუქსემბურგი, ლუქსემბურგი)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

მარცის ღაიჯესტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლიბიაში განვითარებული მოვლენების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ

2011 წლის 17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო საფრანგეთის, დიდ ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლიბანის მიერ ინიცირებული რეზოლუცია 1973 (2011) ლიბიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ათი ხმით უშიშროების საბჭომ სხვა ზომებთან ერთად მოითხოვა ლიბიის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების დაუყოვნებელი შეწყვეტა და ქვეყნის საჰაერო სივრცე არა-საფრენ ზონად გამოაცხადა. რეზოლუცია მოუწოდებს მსოფლიო თანამეგობრობას მიმართოს ყველა საჭირო ზომას მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

საქართველო მიესალმება ინიციატორი და მხარდამჭერი ქვეყნების გადაწყვეტილებას. იგი მუდამ იყო და იქნება იმ სახელმწიფოთა გვერდით, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და ხალხის თავისუფალ არჩევანს .

http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=13532

ევროკავშირის ცხრა ქვეყნის პოსტკრიზისული ზრდის გეგმა (ახლავს ფოტო)

ევროკავშირის ცხრა წევრი ქვეყანა აღნიშნავს, რომ ძლიერი ამბიციების და ფუნდამენტური რეფორმების გარეშე მხოლოდ ევროს გადარჩენაზე ზრუნვით ევროპა ეკონომიკური დაღმასვლის, უმუშევრობისა და ინვესტიციების დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგება. საჭიროა დაუყოვნებლივ მივაღწიოთ შეთანხმებას უფრო ძლიერი სტაბილურობისა და ზრდის პაქტის მიღებასთან დაკავშირებით.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტი ვრცელდება 27 წევრ ქვეყანაზე, რომელიც "ევროს და ევროკავშირის ამჟამინდელი კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთი გარანტიაა"- განაცხადა მიკოლაი დოვგიელევიჩმა, პოლონეთის სახელმწიფო მდივანმა ევროპული ურთიერთობებისა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში.

http://euobserver.com/9/32016

ევროკავშირის ახალი რანდგპოფი სწრაფ ბიზნეს ქმედებას მოითხოვს

AGEP ასოციაციის მენეჯმენტის დამფუძნებლის ალან ბეიმონტის განცხადებით, ბიზნესი თავისი ინდუსტრიული ასოციაციისგან "მაღალ პროფესიონალიზმს" და "სწრაფ პასუხებს" მოითხოვს ევროკავშირის ინსტიტუციური გარემოს გასაუმჯობესებლად.

ბეიმონტმა, რომელიც ამასთანავე ევროპის სასმელების ასოციაციის (UNESDA) მდივანია, განაცხადა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის ინსტიტუტები და მათ წინაშე მდგომი საკითხების გადაწყვეტა უაღრესად გართულდა, ხოლო ევროკავშირის პოლიტიკის შექმნაში ევროპარლამენტი უდიდეს როლს იღებს თავის თავზე.

მისი თქმით, ეს ნიშნავს, რომ საგრძნობლად გაიზარდა ბიზნესსამყაროს საჭიროება და მის გაერთიანებასთან დაკავშირებული მოთხოვნები .

http://www.euractiv.com/en/pa/new-eu-landscape-requires-swifter-business-action-news-503217

გრძელდება დებატები უნგრეთის მედიის კანონზე

ევროპარლამენტის წევრების განცხადებით, უნგრეთის მიერ წარმოდგენილი მედიაკანონი არაა სრულყოფილი. დეპუტატებმა გააკრიტიკეს ევროკომისია იმისათვის, რომ არ გამოიჩინა მეტი ძალისხმევა ცვლილებების განსახორციელებლად. განსაკუთრებული საყვედური ითქვა მედიასაბჭოს მიმართ.

სოციალისტების, ლიბერალების, მწვანეების და მემარცხენე ფრთის განაცხადს, კენჭისყრის დროს პარლამენტის 316 წევრმა დაუჭირა მხარი, 264 წინააღმდეგი აღმოჩნდა, 33-მა კი თავი შეიკავა.

დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ უნგრეთის პარლამენტის მიერ წარმოდგენილი მედიაკანონის მოდიფიკაცია მისასალმებელია, მაგრამ მოითხოვენ მედიადამოუკიდებლობის შექმნას და სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აღკვეთას.

http://euobserver.com/9/31965

ევროპის 25-მა ქვეყანამ მხარი დაუჭირა პატენტის კანონს (ახლავს ფოტო)

25 წევრი ქვეყნის მინისტრმა გადაწყვიტა, წარმოედგინათ პატენტის რეგისტრაციის ახალი სისტემა, რომელიც ევროპულ ბიზნესს ყოველწლიურად მილიონობით ევროს დააზოგინებს. ამასთანავე ორი ქვეყანა – იტალია და ესპანეთი უარს აცხადებს პროექტში მონაწილეობაზე, რადგან არ იზიარებს ამ პროგრამის ფარგლებში ოფიციალური ენების გამოყენების საკითხს.

მინისტრების უმეტესობა თანახმაა, რომ ყველა საპატენტო განაცხადი იყოს ერთ-ერთზე ევროპის საპატენტო ოფისის (EPO) სამუშაო ენებიდან, რომლებიც 1977 წლიდან ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენაა.

მრავალთვიანი მოლაპარაკებების მიუხედეავად, 27 ქვეყანას შორის შეუძლებელი აღმოჩნდა შეთანხმების მიღწევა ისეთ მგრძნობიარე საკითხზე, როგორიცაა საპატენტო განაცხადის სამუშაო ენის საკითხი.

http://www.euractiv.com/en/innovation/25-countries-give-green-light-european-patent-news-503000

მოქალაქეთა ინიციატივები _ ისტორიული მნიშვნელობის ინსტრუმენტი

დემოკრატიის ექსპერტები ევროპაში 2012 წლის 1 აპრილისთვის ემზადებიან. ეს არის დღე, როდესაც ევროპელი მოქალაქეების პირველი ინიციატივა დარეგისტრირდება. გაურკვევლობად რჩება მხოლოდ ის, თუ რამდენად სრულყოფილად იმუშავებს ეს სქემა კონკრეტული რეგულირების მიღების შემდეგ.

"ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვს პირველი ნაბიჯის გადადგმაში" – განაცხადა UK ლიბერალმა დეპუტატმა, დიანა უალისმა, ევროპელი მოქალაქეების სამოქმედო სერვისის (ECAS) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. ექსპერტები ევროპელი მოქალაქეების ინიციატივას (ECI) მიიჩნევენ ისტორიული მნიშვნელობის ინსტრუმენტად უფრო დემოკრატიული ევროკავშირის შესაქმნელად. გერმანიის მწვანეთა პარტიის/ევროპის თავისუფალი ალიანსის დეპუტატ გერალდ ჰოიფნერის (Gerald Häfner) თქმით, "თუ წარმატებას ვერ მივაღწიეთ, მაშინ ეს დემოკრატიის დასასრული იქნება".

უოლისის თანახმად, არჩეული პოლიტიკოსებისთვის ეს იქნება რთული პერიოდი და მსგავსი ინიციატივები პოლიტიკოსებს უბიძგებს, რათა ხელი შეუწყონ მოქალაქეების პოლიტიკურ ჩართულობას.

http://www.euractiv.com/en/future-eu/experts-strive-citizens-initiative-work-news-503261

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის კომისიის სხდომა

4 მარტს ვიცე პრემიერ-მინისტრის გიორგი ბარამიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ევროკავშირში საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომა, სადაც დამტკიცდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების 2010 წლის ანგარიში და 2011 წლის სამოქმედო გეგმა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ წარმატებით განახორციელა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2010 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ჩართულ ყველა შესაბამის უწყებასთან თანამშრომლობით შეიმუშავა. სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის წარმატებით შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დროულად დასრულებისა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლისათვის.

http://eu-integration.gov.ge/index.php?que=geo/news&info=418

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

“ *Essential EU Competition Law in Charts* “
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ავტორი: Christa Tobler, Jacques Beglinger, Wessel Geursen
ენა: ინგლისური.

“ *The Middle of the Map - Geopolitics of Perceptions* “
გამომცემელი: John Harper Publishing
ავტორი: Attila Marjan
ენა: ინგლისური.

“ *Legitimacy in European Administrative Law: Reform and Reconstruction* “
გამომცემელი: Europa Law Publishing
ავტორი: Matthias Ruffert
ენა: ინგლისური

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

ევროპელები იშვიათ დაავადებათა შესახებ

გასულ თვეს ევროკომისიის სტატისტიკურმა ოფისმა გამოაქვეყნა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც მიეძღვნა 28 თებერვალს იშვიათ დაავადებათა საერთაშორისო დღეს.

არსებობს 8000-მდე სახეობის იშვიათი დაავადება, რომელთა სხვადასხვა სახით ევროკავშირში 36 მილიონამდე მოქალაქეა დაავადებული. მათ რიცხვს ხშირად მიეკუთვნება ქრონიკული, პროგრესირებადი და სხვა სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობა. ამ ტიპის დაავადებების სპეციფიურობიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალური ხდება მათთან ბრძოლისა და პაციენტებზე მზრუნველობის საკითხები. შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა და არასათანადო სამედიცინო მომზადება ხშირად დამატებით სირთულეებს ქმნის ავადმყოფთა მკურნალობაში. აღნიშნულ საკითხზე ევროკომისიამ არაერთი ერთობლივი საინფორმაციო და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. აღნიშნული კვლევაც ევროკომისიის ინიციატივით ჩატარდა, რათა გამოევლინათ ევროპელთა ცოდნა იშვიათი დაავადებებისა და მათთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

როგორც შედეგებიდან ირკვევა, ევროპელთა უმეტესობამ (63%-მა) ზოგადად იცის თუ რა არის იშვიათი დაავადება. მაგრამ გამოკითხულთა უმეტესობას გაუჭირდა კონკრეტული დაავადებების სახეობათა დასახელება. ამასთანავე, რაც უფრო მაღალი იყო რესპოდენტის განათლების, დასაქმების და სოციალური მდგომარეობის დონე, მით უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა ამ საკითხზე.

გამოკითხულთა 40%-მა აღნიშნა, რომ მათ ნაცნობთა შორის არავინ არის ამგვარი დაავადების მატარებელი. 17% უშუალოდ იცნობს ასეთ პაციენტებს, 13%-ს კი მხოლოდ სმენია ნაცნობთა წრეში მსგავსი შემთხვევების შესახებ.

რესპოდენტთა 35% ინფორმაციას ასეთ ავადმყოფებზე ძირითადად მასმედიიდან იღებს.

უმრავლესობას (96%) მიაჩნია, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ასეთ ავადმყოფთა დახმარება და საჭიროების შემთხვევაში დაფაროს მკურნალობის ხარჯები. 90% თვლის, რომ საჭიროა სათანადო სახსრების მობილიზაცია ამ სფეროში სამეცნიერო კვლევების, საერთაშორისო თანამშრომლობის და პაციენტთა დახმარების გასაძლიერებლად. გამოკითხულთა 95%-ის აზრით, იშვიათ დაავადებათა დასაძლევად საჭიროა როგორც საერთოევროპული თანამშრომლობა, ასევე თითოეული წევრი ქვეყნის მიერ სათანადო სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება.

ევრო პაიჭრა

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

გერმანიის ვაიმარის საზაფხულო სკოლის კონკურსი

გერმანიის ვაიმარის უნივერსიტეტის ბაუჰაუსის საზაფხულო სკოლა საერთაშორისო სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს ორკვირიანი საზაფხულო კურსების გასავლელად. პროგრამაში მონაწილე სტუდენტები იცხოვრებენ ქალაქ ვაიმარში და მონაწილეობას მიიღებენ ტექსტებზე მუშაობაში, სხვა მონაწილეებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლაში და გაეცნობიან „ტყუპი ქალაქების“ ვაიმარისა და იენის მრავალფეროვან კულტურულ შედეგრებს: არქივებს, მუზეუმს, ბიბლიოთეკებსა და მონუმენტებს. პროგრამა ჩატარდება 2011 წლის 13 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით.
პროგრამა ითვალისწინებს ექვსი სასწავლო კურსის გავლას მინიმუმ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან შემდეგი დარგებით: ლიტერატურა, ფილოსოფია, კულტურის ისტორია და სხვ.
პროგრამის ძირითადი სამუშაო ენაა გერმანული. მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს მოეთხოვებათ გერმანულის სრულყოფილი ცოდნა.
მიმდინარე 2011 წელს სტიპენდიებით დაფინანსდება შემდეგი სპეციალობები: ევროპული კულტურა და მედია, საინჟინრო საქმე, გარემოს დაცვა და სხვა. სტიპენდია ითვალისწინებს სწავლის გადასახადთან, ჯანმრთელობის დაზღვევასთან, მგზავრობასა და სხვა აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებულ შეღავათებს. შემცირებული, ანუ ორკვირიანი სწავლის გადასახადი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის შეადგენს 350 ევროს.
სააპლიკაციო ფორმის შევსებამდე მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ წინასწარი “ონლაინ” რეგისტრაცია.
განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 31 მაისი.

სტიპენდიები ბრიტანეთში

საგანმანათლებლო სააგენტო “ი ელ ელ” გთავაზობთ საშუალებას, მიიღოთ ნაწილობრივ ანაზღაურებადი სტიპენდიები (სწავლის გადასახადის 50%) დედოფლის ბელფასტის (Queen’s University Belfast) და ექსეტერის უნივერსიტეტების წინასაბაკალავრო პროგრამებზე და შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამების პირველ წელზე. ეს არის უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებული საერთო-სასტიპენდიო კონკურსი.

ექსეტერის უნივერსიტეტში წინასაბაკალავრო სტიპენდიების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ სპეციალობებში: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სამართალი და სოციალური მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა.

დედოფლის ბელფასტის უნივერსიტეტში წინასაბაკალავრო სტიპენდიების მოპოვება შეიძლება შემდეგ სპეციალობებში: ბიზნესი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სამართალი და სოციალური მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა.

წინასამაგისტრო სპეციალობებია: ფინანსები და მენეჯმენტი.

წინასაბაკალავრო პროგრამის დეტალები:

- კურსის დაწყების თარიღი: სექტემბერი 2011; იანვარი 2012;
- სწავლის ღირებულება: 11,490 ფუნტი;
- ცხოვრების ღირებულება (ბინა, კვება, ტრანსპორტი): 5,000-7,000 ფუნტი წელიწადში;
- ძირითადი მოთხოვნები: საშუალო სკოლის ატესტატი მაღალი GPA-თი, IELTS მინიმუმ 5.5 - 6.0.

სტიპენდია - 11,490 ფუნტი ფარავს მხოლოდ სწავლის გადასახადს. ეს თანხა გაიყოფა ორ ნაწილად და 5,745 დააკლდება წინასაბაკალავრო/წინასამაგისტრო პროგრამის გადასახადს (პირველი წელი), მეორე ნაწილი - პირველი კურსის გადასახადს (მეორე წელი).

საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა: 1 ივნისი და 1 ნოემბერი, 2011.

შენიშვნა: საცხოვრებელ ხარჯებს (100%) და სწავლის გადასახადის მეორე ნაწილს (50%) მოსამზადებელ პროგრამაზე და პირველ კურსზე მთლიანად ფარავს სტუდენტი თავისი სახსრებით.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი
www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4
“ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად.“

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას
“ ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად “
საქართველოს რადიოს
პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის
ფონდის დაფინანსებით
“ევროპის დროით“
იბეჭდება საქართველოს
4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung

ნომერზე მუშაობდნენ: ირინა სერსვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა.

“ევროპის დროით“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge